



ევროკავშირი
საქართველოსთვის



კანონები სიტყვის წინააღმდეგ

საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და
მედიის საქმიანობის შემზღუდავი
საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი

2025 წლის თებერვალი - ივლისი



**კანონები სიტყვის წინააღმდეგ:
საქართველოში გამოსატვის
თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის
შემზღუდავი საკანონმდებლო
ცვლილებების ანალიზი**

2025 წლის თებერვალი - ივლისი

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

გამოცემის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

კვლევის ავტორები: თამაზ პირტავა
იოსებ ედიშერაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ო ე ვ ი

შემოკლებები	4
შესავალი	5
1. ე.წ. FARA-ს მიღებით გამოწვეული დარღვევები	7
2. მედიისთვის უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვა	11
2.1. მაუწყებლებისთვის უცხოური დაფინანსების აკრძალვა	12
2.2. უცხოური გრანტების შეზღუდვა	13
3. გაუფხვლის „სამართლიანობის და მიუკერძოებლობის“ მომხმარებელი ნორმები	15
4. სასამართლოში მედიის საქმიანობის შეზღუდვა	17
5. ცილისწამებასთან დაკავშირებული ცვლილებები	18
6. თანამდებობის პირის და სახელმწიფო/საჯარო მოსამსახურის შეურაცხყოფის დასჯადობა	20
დასკვნა	25

შემოკლებები

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ე.წ. FARA – საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“

ვენეციის კომისია - ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის

კონვენცია - ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

ECtHR - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ODIHR - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი

SLAPP - სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოება

შესავალი

2024-2025 წლები საქართველოში ადამიანის უფლებების მზარდი და მძიმე კრიზისით ხასიათდება. ამ პერიოდში პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ავტორიტარული ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები სხვადასხვა რეპრესიულ და ძალადობრივ მეთოდს მოიცავს, მათ შორის, მშვიდობიანი აქციების ძალისმიერ დარბევას 2024 წლის გაზაფხულსა¹ და ზამთარში,² დემონსტრანტების სისტემურ და სისტემატურ წამებას, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას (რაც განსაკუთრებით აქტიური იყო 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში),³ საჯარო სამსახურებში განხორციელებულ პოლიტიკურ წმენდას⁴ და პროტესტთან დაკავშირებული არაპროპორციული სანქციების თვითნებურ გამოყენებას.⁵

„ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ადამიანის უფლებების კუთხით შექმნილ კრიზისში განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობს. 2024 წლის დეკემბრიდან მოყოლებული ინტენსიურად და სწრაფად იცვლება კანონმდებლობა. ამ პროცესში უგულებელყოფილია საერთაშორისო სტანდარტები, რეპუტაციული საერთაშორისო შეფასებები (მაგალითად, ვენეციის კომისიის და ODIHR-ის დასკვნები) და ქვეყნის შიგნით არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა თუ სამოქალაქო მოძრაობების კრიტიკული მოსაზრებები.⁶ „ქართული ოცნება“ ამ ცვლილებებით ქმნის სხვადასხვა სფეროში რეპრესიის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის საქმიანობის შეზღუდვისკენ მიმართულ ფორმალურ-სამართლებრივ იარაღებს.

საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი აშკარა სამიზნე თავიდანვე იყო გამოხატვის თავისუფლება და მედიის საქმიანობა. 2024 წელს მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (რუსული კანონი) „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ აცხადებს ისეთ მედიასაშუალებებს, მათ შორის, მაუწყებლებს, ბეჭდურ და ონლაინ მედიას, რომელთა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.⁷ მასტიგმატიზებულ რეესტრში რეგისტრაციის გარდა, ეს

¹ იხილეთ ანგარიში: საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიცირებიდან 60 დღის განმავლობაში“ 2024, [15.07.2025].

² იხილეთ ანგარიში: საია et al., „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 28 თებერვალი“, 2025 [15.07.2025].

³ იქვე.

⁴ იხილეთ ანგარიში: საია, „საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამანგრეველი ეფექტი“, 2025 [15.07.2025].

⁵ იხილეთ ანგარიში: საია et al., „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 28 თებერვალი“, 2025 [15.07.2025].

⁶ მაგ. იხილეთ Venice Commission, Opinion No. 1226/2024, CDL-PI(2025)004, [https://www.venice.coe.int/web-forms/documents/?pdf=CDL-PI\(2025\)004-e](https://www.venice.coe.int/web-forms/documents/?pdf=CDL-PI(2025)004-e) [15.07.2025]; ODIHR, Opinion-Nr.: FOPA-GEO/536/2025 [TN], <https://www.osce.org/odihr/587466> [15.07.2025].

⁷ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია განიშარტება, როგორც:

„ა) ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე

გულისხმობს ამ ორგანიზაციებისთვის ინტენსიური ანგარიშგების ვალდებულების დაკისრებას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში - მაღალ ადმინისტრაციულ ჯარიმებს. კანონი მკაცრად გააყრიტკა ვენეციის კომისიამ⁸ და ODIHR-მა.⁹ ეს კანონი კვლავ ძალაშია.

2024 წლის 17 სექტემბერს მიღებული კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული ცვლილებები 18 საკანონმდებლო აქტში ასევე გაუმართლებელ, დისკრიმინაციულ შეზღუდვებს აწესებს გამონათქვამის თავისუფლების წინააღმდეგ, მათ შორის, მედიასაშუალებებისთვის.¹⁰ 2025 წლის მარტში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს ამ კანონის გაუქმებისკენ მოუწოდა.¹¹ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების იდენტიური კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ამ ცვლილებებამდე დაინიჭირდა, ასევე მწვავედ იყო გაყრიტკებული ვენეციის კომისიის მიერ.¹²

2024 წლის დეკემბრიდან ძალაშია კანონმდებლების პროცესი კიდევ უფრო სწრაფი და ინტენსიური გახდა, ხოლო გამონათქვამის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები 2025 წლის თებერვლიდან აქტიურად ინიციირდება და „ქართული ოცნება“ მათ მოკლე ვადებში ამტკიცებს. ამ ცვლილებებში შედის:

- პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების შეურაცხყოფის აკრძალვა;
- მედიისთვის უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვა;
- ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ შესახებ ახალი რეგულაციები;
- მაუწყებლის „სამართლიანობასა და მიუკერძოებლობასთან“ დაკავშირებული ვალდებულებები;
- ცილისწამებასთან დაკავშირებული სტანდარტების გაუარესება;
- სასამართლოში მედიის საქმიანობის შეზღუდვა.

მეტის წყარო უცხოური ძალაა;

გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა; დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა“. იხილეთ: <https://matsne.gov.ge/document/view/6171895?publication=0> [15.07.2025]

⁸ Venice Commission, Opinion No. 1190/2024, CDL-PI(2024)013,

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2024\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e) [15.07.2025].

⁹ ODIHR, Opinion-Nr.: NGO-GEO/506/2024 [NR],

<https://legislationline.org/sites/default/files/2024-05/30-05-2024%20Final%20ODIHR%20Urgent%20Opinion%20on%20Law%20on%20Transparency%20of%20Georgia.pdf>, [15.07.2025].

¹⁰ საია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება“, 20.09.2024, <https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsi-naaghmddeg-mimartul-sakanonmdblo-cvilebebs-ekhmaureba> [15.07.2025].

¹¹ Committee of Ministers, Interim Resolution CM/ResDH(2025)31, <https://search.coe.int/cm/eng#%7B%22CoEIden-tier%22:%5B%220900001680b499f5%22%5D,%22sort%22:%5B%22CoEValidationDate%20Descending%22%5D%7D> [15.07.2025].

¹² Venice Commission, Opinion No. 1188/2024, CDL-AD(2024)021,

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e) [15.07.2025].

გამოხატვის უფლების სტანდარტების გაუარესებასთან დაკავშირებული ცვლილებები შემდეგი საკანონმდებლო აქტების მეშვეობით განხორციელდა:

- ცვლილებები საქართველოს კანონში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;
- ცვლილებები საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“;
- ახალი კანონის მიღება „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (ე.წ. FARA);¹³
- ცვლილებები საქართველოს კანონში „გრანტების შესახებ“;
- ცვლილებები ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“;
- ცვლილებები საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

წარმოდგენილ პუბლიკაციაში მიმოხილულია 2025 წლის დასაწყისიდან 2025 წლის 15 ივლისის ჩათვლით, დაახლოებით, ნახევარი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები გამოხატვის თავისუფლებასა და მედიის საქმიანობასთან დაკავშირებით. თითოეული რელევანტური საკანონმდებლო ცვლილების/სიახლის შინაარსი შეფასებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, ქვეყანაში არსებული უფლებრივი და სამართლებრივი კონტექსტის შუქზე.

1. 1.6. FARA-ს მიღებით გამოწვეული დარღვევები

„ქართული ოცნების“ პარლამენტმა 2025 წლის 1-ელ აპრილს მიიღო უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი (ე.წ. FARA).¹⁴ ახალი კანონს შემოაქვს მასტიგმატიზებული ცნება „უცხოური პრინციპალის აგენტი“, ამასთანავე, ითვალისწინებს რეგისტრაციის, ანგარიშგების, გავრცელებულ საინფორმაციო მასალებზე მითითების დართვის ვალდებულებებს და მოიცავს მძიმე სისხლისსამართლებრივ სანქციებს, მათ შორის, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კანონი ვრცელდება როგორც არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირებზე, ასევე ფიზიკურ პირებზეც.

პირს, შესაძლოა, დაეკისროს უცხოეთის პრინციპალის აგენტად რეგისტრაციის ვალდებულება, თუ იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით საქართველოში მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში უცხოელი პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გამო და, თუ, იმავდროულად, იგი მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით.¹⁵

კანონის ბუნდოვანი, განუჭვრეტელი დეფინიციები და მასშტაბები იძლევა მისი ზედმეტად ფართოდ განმარტების შესაძლებლობას. მაგალითად:

¹³ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხშირად მიუთითებენ, რომ ეს კანონი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონის, Foreign Agents Registration Act-ის (FARA-ს) ქართული თარგმანია (განმარტებითი ბარათი იხილეთ ბმულზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/30320> [15.07.2025]). ამ არგუმენტის მოხმობა კანონიდან გამომდინარე საფრთხეებისა და დარღვევების წინააღმდეგ მანიპულაციური და არსობრივად მცდარია. ეს საკითხი ამ კვლევის 1-ელ თავშია განხილული.

¹⁴ საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6461578?publication=0> [15.07.2025].

¹⁵ იქვე, მუხლი 1, ქვეპუნქტი „გ“.

- **პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა** - კანონის მიხედვით, განიმარტება, როგორც „პირის მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებული ან განსახორციელებელი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, მიღებისკენ ან შეცვლისკენ, აგრეთვე ის საქმიანობა, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს“.¹⁶

ეს განმარტება, ფაქტობრივად, ყველა იმ აქტივობას შეიძლება მოიცავდეს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების, ინდივიდის, მედიის ან სხვა გაერთიანების სამოქალაქო აქტიურობას ან საჯარო დისკუსიაში მათ მონაწილეობას ეხება. განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის შემთხვევაში, ამ განმარტებამ შეიძლება მოიცვას ის აქტივობები, რომლებიც მათი მთავარი ფუნქციების განხორციელებასთანაა დაკავშირებული. რუსეთში მოქმედ ე.წ. „აგენტების კანონში“ არსებულ მსგავს დეფინიციასთან მიმართებით ვენეციის კომისიამ განმარტა, რომ იგი რუსეთის ხელისუფლებას ანიჭებდა ფართო დისკრეციას.¹⁷ შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ძნელი იყო იმის დადგენა, მათი რომელი კონკრეტული ქმედებები შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც „პოლიტიკური საქმიანობა“ და რომელი - არა.¹⁸ ასეთ პირობებში, გაერთიანების თავისუფლების შუზღუდვები ვერ ჩათვლება კანონით განსაზღვრულად.¹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე **ეკოდეფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (ECODEFENCE AND OTHERS v. RUSSIA)** აისახა, როგორც მისცა „პოლიტიკური საქმიანობის“ ფართო განსაზღვრებამ რუსეთის ხელისუფლებას შესაძლებლობა, განეცხადებინა მისი შინაარსი იმ დონეზე, რომ მოეცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩვეულებრივი საქმიანობაც — მათ შორის, გარემოსდაცვითი, კულტურული და სოციალური მიმართულებებით განხორციელებული აქტივობები. ხელისუფლებას შეეძლო, ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმენაირად უკავშირდებოდა დემოკრატიული საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას, დაეკვალიფიცირებინა, როგორც „პოლიტიკური“.²⁰

- **უცხოელი პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით მოქმედება** - თავის მხრივ, „კონტროლი“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ბრძანების მიხედვით, შეიძლება განიმარტოს, როგორც „ნმის უფლების გამოყენებით, ხელშეკრულების ძალით ან სხვა გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობის ან უფლებამოსილების იმგვარ განხორციელებად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გავლენის მოხდენა პირის საქმიანობის მიმართულებაზე ან მის ქმედებებზე“.²¹ ეს განმარტება ფართოა და, შესაძლოა, მათ შორის, ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობა მოიაზროს კონტროლის განხორციელების საფუძვლად.
- **უცხოელი პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გამო** - უცნობია, როგორ უნდა შეფასდეს, ვისი ინტერესით მოქმედებს მედია, სამო-

¹⁶ იქვე, მუხლი 1, ქვეპუნქტი „მ“.

¹⁷ Venice Commission, Opinion No. 716-717/2013, CDL-AD(2014)025, [https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)025-e](https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)025-e), para 71.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ ECtHR, *Ecodefence and Others v. Russia*, 9988/13, 2022, para. 96-100.

²¹ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2025 წლის 31 მაისის N10 ბრძანება, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ა“.

ქალაქო საზოგადოება ან სხვა სუბიექტი, რომელიც, მაგალითად, უცხოური წყაროდან მიღებულ გრანტს საქართველოში ადამიანის უფლებების ან დემოკრატიული რეფორმების ადვოკატირებისთვის ან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს. მართალია, ერთი შეხედვით, აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევებზე ამ კანონის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს, მაგრამ „ქართული ოცნების“ მიერ სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და უცხოელი დონორების მიმართ აქტიურად გავრცელებული კონსპირაციული თეორიების გათვალისწინებით (მაგალითად, იხილეთ 2.2. ქვეთავში განხილული შემთხვევა დიდი ბრიტანეთის საელჩოს საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით), მოსალოდნელია, რომ ეს კომპონენტი არაკეთილსინდისიერად იქნება განმარტებული.

ზემოთ განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ კანონის ძირითადი ცნებები თვითნებური განმარტების, ასევე, არაგანჭვრეტადი გამოყენების საშუალებას იძლევა და ვერ აკმაყოფილებს კანონის ხარისხის მოთხოვნასაც კი. იმისთვის, რომ შეზღუდვა კანონით განსაზღვრულად ჩაითვალოს, საკმარისი არ არის საკანონმდებლო აქტის არსებობა. მნიშვნელოვანია, შეფასდეს კანონის ხარისხიც, რაც ნიშნავს, რომ კანონი განჭვრეტადი და ცხადი უნდა იყოს.²²

ასეთი რეალობა ქმნის მსუსხავ ეფექტს და თვითცენზურის გარემოს, რამაც გაერთიანებებს ან ინდივიდებს, შესაძლოა, უბიძგოს, არ ჩაერთონ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიაში, რათა ეს „პოლიტიკურ საქმიანობად“ არ ჩაუთვალონ, ასევე, თავი შეიკავონ დაფინანსების უცხოურ წყაროებთან ურთიერთობისგან, მაგალითად, გრანტის მიღებისა ან სხვა სახის ხელშეკრულების გაფორმებისგან, რათა ეს მიჩნეული არ იყოს უცხოური პრინციპალის კონტროლით ან/და მისი ინტერესებით მოქმედებად. შესაბამისად, ის არღვევს გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებებს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიასაშუალებების ან/და ფრილანსერი ჟურნალისტების მიერ დაფინანსების მოძიების შესაძლებლობას და გამოხატვის თავისუფლებას.

ამასთანავე, კანონი ითვალისწინებს „აგენტის“ მიერ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. უცხოური პრინციპალის ინტერესების შესაბამისად საინფორმაციო მასალის გავრცელების შემთხვევაში, მასში თვალსაჩინოდ უნდა იყოს მითითებული, რომ ეს საინფორმაციო მასალა უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ უცხოური პრინციპალის სახელით არის გავრცელებული.²³ ასევე, საინფორმაციო მასალის გავრცელებიდან არაუგვიანეს 48 საათისა მისი 2 ეგზემპლარი უნდა წარედგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს.²⁴

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს როგორც აზრის გავრცელების, ისე დუმილის უფლებას.²⁵ პირის იძულება, გააკეთოს საკუთარ საჯარო კომუნიკაციებზე აღნიშვნა, რომელსაც თავად არ ეთანხმება, უფლებაში ჩაიყვანს.²⁶ ზემოთ განხილული ბუნდოვანების გათვალისწინებით, არ არის განჭვრეტადი, რა სახის ქმედებებისთვის უნდა დაეკისროს პირს აგენტად რეგისტრაციისა და, შესაბამისად, კომუნიკაციებზე აღნიშვნის გაკეთების ვალდებულება, რაც ნორმების თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

²² ECtHR, *Ecodefence and Others v. Russia*, 9988/13, 2022, para. 90.

²³ საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, მუხლი 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6461578?publication=0> [15.07.2025].

²⁴ იქვე.

²⁵ ECtHR, *Kobaliya and Others v. Russia*, 39446/16, 2024, para. 84

²⁶ ECtHR, *mutatis mutandis*, *Gillberg v. Sweden [GC]*, 41723/06, para. 86, 2012; *Kobaliya and Others v. Russia*, 39446/16, 2024, para. 84.

გარდა ამისა, დამატებით საფრთხეს შეიცავს კანონით გათვალისწინებული ექსტენსიური ანგარიშგების ვალდებულებები. ეს, მათ შორის, განსაკუთრებით რელევანტურია მედიასთან დაკავშირებით. მაგალითად, რეგისტრაციის პროცესში თითოეული წერილობითი შეთანხმების ასლის, ხოლო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში – შეთანხმების შესახებ სრული ინფორმაციის ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარდგენის ვალდებულებამ,²⁷ შესაძლოა, გამოიწვიოს ჟურნალისტური წყაროს ანონიმურობის დარღვევა, თუ ასეთ წყაროსთან რაიმე ტიპის წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება არსებობს.

კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ამ კანონის მიღება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ვერ ხდება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება, შესაბამისად, საჭიროა ახალი კანონი კანონმდებლის ნების აღსასრულებლად.²⁸ აღსანიშნავია, რომ თავად „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ვენეციის კომისიამ მკაცრად გააკრიტიკა და მიიჩნია, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა ვერც კანონიერების, ვერც აუცილებლობის, ვერც პროპორციულობის კომპონენტებს და სახელმწიფოს მისი გაწვევისკენ მოუწოდა.²⁹ ეს პრობლემები რელევანტურია ე.წ. FARA-ს შემთხვევაშიც, რომელიც კიდევ უფრო ამკაცრებს პასუხისმგებლობას და ქმნის საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის ადამიანებისა და მედიის დასჯის იარაღს.

„ქართული ოცნება“ ხშირად მიუთითებს, რომ ე.წ. FARA ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონის (Foreign Agents Registration Act) თარგმანია.³⁰ სინამდვილეში, როგორც ODIHR-მა აღნიშნა, ამერიკული აქტი შეიცავს ბოროტად გამოყენებისგან მისი დაცვის სამართლებრივ გარანტიებს.³¹ ეს გარანტიები, მათ შორის, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკითაა უზრუნველყოფილი, რაც საქართველოში არ არსებობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონი, ძირითადად, ლობიზმისა და უცხოური სახელმწიფოების სახელით მოქმედების რეგულირებას ისახავს მიზნად და არა - სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიაზე შეტევას.³² საქართველოში კი, „ქართული ოცნების“ რიტორიკა და წინა ქმედებები, ისევე, როგორც თავად კანონის განმარტებითი ბარათი,³³ რომელიც მას, ფაქტობრივად, რუსული კანონის გაგრძელებად მოიაზრებს, ცხადყოფს, რომ იგი ბოროტად იქნება გამოყენებული. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გათვალისწინებით, კიდევ უფრო სახიფათოა მსგავსი კანონი, რომელიც ბოროტად გამოყენების და არაკეთილსინდისიერი განმარტების ფართო არეალს ქმნის.

²⁷ საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6461578?publication=0> [15.07.2025].

²⁸ განმარტებითი ბარათი იხილეთ ბმულზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/30320> [15.07.2025].

²⁹ Venice Commission, Opinion No. 1190/2024, CDL-PI(2024)013, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2024\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e) [15.07.2025].

³⁰ განმარტებითი ბარათი იხილეთ ბმულზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/30320> [15.07.2025].

³¹ ODIHR, Georgia's foreign agents legislation raises concerns over negative impact on civil society, OSCE human rights office says, 02.04.2025, <https://www.osce.org/odihr/588667> [15.07.2025].

³² ODIHR, Opinion-Nr.: NGO-GEO/506/2024 [NR], 38, <https://legislationline.org/sites/default/files/2024-05/30-05-2024%20Final%20ODIHR%20Urgent%20Opinion%20on%20Law%20on%20Transparency%20of%20Georgia.pdf> [15.07.2025].

³³ განმარტებითი ბარათი იხილეთ ბმულზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/30320> [15.07.2025].

2. მედიისთვის უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვა

2025 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მედიასაშუალებებს, ფაქტობრივად, აკრძალათ უცხოური დაფინანსების მიღება. მაუწყებლების შემთხვევაში, ეს აკრძალვა პირდაპირ გაიწერა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით.³⁴ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) ფორმით არსებული მედიასაშუალებებისთვის უცხოურ დაფინანსებაზე შეზღუდვას „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები წარმოშობს, რომლებიც გრანტის მიმღებს მთავრობის თანხმობის გარეშე გაცემული უცხოური გრანტის მიღებას უკრძალავს.³⁵

აღსანიშნავია, რომ კვლავ ძალაშია 2024 წლის გაზაფხულზე მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (რუსული კანონი). ეს კანონი მაუწყებლებს, ბეჭდურ და ონლაინ მედიასაშუალებებს, რომლებიც წლიური არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტს „უცხოური ძალისგან“ იღებენ, უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად აცხადებს და მათგან მასტიგმატიზებელ რეესტრში რეგისტრაციას, ასევე ინტენსიურ ანგარიშგებას მოითხოვს, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში კი მაღალ ფინანსურ სანქციებს უწესებს.³⁶ თუმცა, ამ კანონის აქტიური იმპლემენტაცია და, მის საფუძველზე, ორგანიზაციებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ან რეგისტრაციის მოთხოვნა იუსტიციის სამინისტროს ჯერ არ დაუწყია.

იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებსაც უცხოური დაფინანსების მიღება პირდაპირ აკრძალული არ აქვთ, დაფინანსების წყაროებზე გავლენას ახდენს ასევე „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, რომლის ფართო და განუჭვრეტელი რეგულაციები ქმნის საფრთხეს, რომ, მათი არაკეთილსინდისიერი განმარტების შემთხვევაში, დაფინანსების უცხოურ წყაროსთან სახელმეკრულებო ურთიერთობის გამო, მედიასაშუალება უცხოური პრინციპალის აგენტად იყოს მიჩნეული („უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ შესახებ იხილეთ თავი 1).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ფინანსების მოპოვება, მიღება და გამოყენება კონვენციის მე-11 მუხლით დაცული გაერთიანების თავისუფლების ფუნდამენტური ასპექტია, შესაბამისად, გრანტების ან სხვა დაფინანსების აკრძალვა არის გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა.³⁷ სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რადგანაც აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების დაცვა გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთი მიზანია.³⁸

უფლებაში ჩარევა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ იგი განსაზღვრულია კანონით, ემსახურება ერთ ან მეტ ლეგიტიმურ მიზანს, ამასთანავე, არის აუცილებელი და პროპორციული დემოკრატიულ საზოგადოებაში.³⁹ აქედან რომელიმე კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში, ჩარევა (ამ შემთხვევაში უცხოური დაფინანსების აკრძალვა/შეზღუდვა) ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევას გამოიწვევს.

³⁴ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 66¹, <https://matsne.gov.ge/document/view/32866?publication=82> [15.07.2025].

³⁵ საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“, მუხლი 5¹, <https://matsne.gov.ge/document/view/31510?publication=34> [15.07.2025].

³⁶ საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/document/view/6171895?publication=0> [15.07.2025].

³⁷ ECtHR, *Ecodefence and Others v. Russia*, 9988/13, 2022, para. 165.

³⁸ ECtHR, *Kobaliya and Others v. Russia*, 39446/16, 2024, para. 54.

³⁹ იქვე, 68.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ისევე, როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, გაერთიანებებისთვის უცხოური დაფინანსების შეზღუდვაზე მსჯელობისას განმარტავს, რომ საკანონმდებლო ჩარჩო უნდა პასუხობდეს საზოგადოების ფუნდამენტურ ინტერესებთან მიმართებით არსებულ საკმარისად დიდ საფრთხეს.⁴⁰ ასეთად ვერ მიიჩნევა კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება ბლანკეტურად და ემყარება პრეზუმფციას, რომ ნებისმიერი უცხოური დაფინანსება საფრთხის შემცველია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისთვის.⁴¹

შესაბამისად, მომდევნო ქვეთავებში დაფინანსების შეზღუდვასთან დაკავშირებით ქვემოთ განხილული ნორმები სწორედ ამ სტანდარტით იქნება შეფასებული.

2.1. მაუწყებლებისთვის უცხოური დაფინანსების აკრძალვა

მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, აიკრძალა:⁴²

- მაუწყებლის მიერ უცხოური ძალისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღება - ეს მოიზრება ფულადი თანხის ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის მიღებას;
- უცხოური ძალის მიერ მაუწყებლის მომსახურების შესყიდვა;
- პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან/და თანადაფინანსება.

ამ აკრძალვებში კანონი გარკვეულ გამონაკლისებს ითვალისწინებს. კონკრეტულად, დაშვებულია:⁴³

- უცხოური ძალის მიერ კომერციული რეკლამის, ტელეშოპინგის, სპონსორობის და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება.

უცხოური ძალა განიმარტება, როგორც:⁴⁴

- უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი;
- ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;
- იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული;
- ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.

აკრძალვა ვრცელდება მაუწყებლებზე, რაც მოიცავს ტელე და რადიო მაუწყებლობას.

ზემოთ განხილული უფლებრივი სტანდარტის მიხედვით, მნიშვნელოვანია, შეზღუდვა ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს. ამ კანონპროექტის ინიცირებისა და

⁴⁰ ECtHR, *Ecodefence and Others v. Russia*, 9988/13, 2022, para. 166.

⁴¹ იქვე.

⁴² საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 66¹, <https://matsne.gov.ge/document/view/32866?publication=82> [15.07.2025].

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

მიღებისას, რაიმე ხელშესახები ლეგიტიმური მიზანი, რეალური საჭიროება, რომლის საპასუხოდაც მსგავსი რეგულაცია იქნებოდა საჭირო, წარმოდგენილი არ ყოფილა. განმარტებით ბარათში კანონის მიზანთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „გამომდინარე იქიდან, რომ მაუწყებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოების მაღალი ხარისხით სარგებლობს და შეუძლია მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, შესაბამისად, საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე შეიზღუდოს მაუწყებლის მიერ უცხოური ძალისგან დაფინანსების მიღება. აღნიშნული უზრუნველყოფს უცხოური ძალის მიერ მაუწყებლის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის შემცირებას“.⁴⁵

განმარტებით ბარათში წარმოდგენილი არგუმენტაცია არის ბლანკეტური და ზედაპირული. ის ვერ ასაბუთებს რეგულაციის ბმას კონვენციით განსაზღვრულ ისეთ ლეგიტიმურ მიზანთან, რომელიც შეიძლება უფლებებში ჩარევის საფუძვლად იყოს მიჩნეული.⁴⁶

თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯელობის გაგრძელების მიზნებისთვის დავუშვებთ, რომ კანონმდებლის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება პასუხობს ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, კანონით დაწესებული შეზღუდვა ვერ ჩაითვლება ამ მიზნ(ებ)ის მისაღწევად აუცილებელ ზომად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

იმისთვის, რომ ჩარევა შეფასდეს, როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, იგი უნდა პასუხობდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას.⁴⁷ ასეთი ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული, ზემოთ განხილული განმარტების მსგავსად, ემყარება მხოლოდ ზოგად წინასწარგანწყობას ყველანაირი უცხოური დაფინანსების საფრთხის შესახებ⁴⁸ და არ უკავშირდება რაიმე ხელშესახებ საჭიროებას ან საფრთხეს, ვერ ჩაითვლება აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამგვარი შეზღუდვა იმ მნიშვნელოვან რესურსზე წვდომის გარეშე ტოვებს მაუწყებლებს, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებული იყოს სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნების, საგამოძიებო შესაძლებლობების და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, აკრძალვა იწვევს მაუწყებლების, გაერთიანებების, გამოხატვის თავისუფლების დარღვევას და არის გაუმართლებელი ბარიერი მათი საქმიანობისთვის.

2.2. უცხოური გრანტების შეზღუდვა

2.1. ქვეთავში განხილული რეგულაციები რადიო და ტელე მაუწყებლებს შეეხება და არ ვრცელდება ონლაინმედიაზე. ონლაინ მედიასაშუალებების ნაწილი ა(ა)იპ-ის სამართლებრივი ფორმით არსებობს და გრანტის მიმღებია. მართალია, მათთვის უცხოური დაფინანსების პირდაპირი აკრძალვა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, თუმცა „გრანტების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები ამ ორგანიზაციებისთვის უცხოურ დაფინანსებაზე წვდომას ზღუდავს.

⁴⁵ განმარტებითი ბარათი იხილეთ ლინკზე: <https://info-parliament.ge/#law-drafting/30326> [15.07.2025].

⁴⁶ ასეთი ლეგიტიმური მიზნები, შესაძლოა, იყოს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უწესრიგობის ან დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებების დაცვა. იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

⁴⁷ ECtHR, *Ecodefence and Others v. Russia*, 9988/13, 2022, para. 123.

⁴⁸ იქვე, 166.

„გრანტების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, უცხოური დონორის მიერ გრანტის გაცემა საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას.⁴⁹

ამ თანხმობის გარეშე გაცემული გრანტის მიღება გამოიწვევს მისი მიმღების დაჯარიმებას გრანტის ორმაგი ოდენობით.⁵⁰

ჩარევის დასაბუთებაში კვლავ ვერ ვხვდებით მითითებას რაიმე რეალურ ლეგიტიმურ მიზანზე, რატომ არის ამ შინაარსის რეგულაციის არსებობა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში რომელიმე ლეგიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად. განმარტებით ბარათში მოცემულია შემდეგი ზოგადი მსჯელობა: „[...] რათა სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ჭრილობი სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი რეალიზება, აგრეთვე, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა, მათ შორის, ხალხისგან (ხელისუფლების წყაროსგან) მხარდაჭერილი, მკაფიოდ გაცხადებული, სამინაო და საგარეო პოლიტიკის შეუფერხებლად განხორციელება“.⁵¹

აღსანიშნავია, რომ მთავრობასთან გრანტის შეთანხმების წესების მიხედვით, მთავრობა შინაარსობრივად შეისწავლის წარდგენილ დოკუმენტაციას, რაც გულისხმობს გრანტის გაცემის მიზნის, მოცულობისა და სახსრების (ფულადი თუ ნატურალური ფორმით) გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარ შეფასებას და შესაბამისობის დადგენას სამთავრობო პროგრამასთან, საქართველოს მთავრობის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებსა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან.⁵² ეს, ფაქტობრივად, გრანტის გამცემს და მიმღებს ავალდებულებს, თანხმობის მისაღებად უზრუნველყოს გრანტის შესაბამისობა სამთავრობო პროგრამასა და მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტებთან. ეს კი ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის „საზოგადოებრივი დარაჯის“ (watchdog) ფუნქციას, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მთავრობის მიერ განსაზღვრული სტრატეგიის ან/და პრიორიტეტების კრიტიკას გულისხმობდეს.

11 ივნისს დიდი ბრიტანეთის საელჩომ საქართველოში გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც:⁵³

„გაერთიანებული სამეფო კეთილსინდისიერად ცდილობდა, მოეპოვებინა გრანტის დამტკიცების შესახებ თანხმობა რიგ პროექტებზე [...]“.

თუმცა, საქართველოს ხელისუფლებასთან განხილვის შემდეგ, გვაცნობეს, რომ მთავრობის დადგენილება „გრანტების დამტკიცების პროცედურის შესახებ“ ჯერ არ არის დასრულებული. შესაბამისად, ამ დრომდე არ არსებობს „გრანტების დამტკიცების პროცედურის შესახებ“ გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები ან ვადები.

⁴⁹ საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“, მუხლი 5¹, <https://matsne.gov.ge/document/view/31510?publication=34> [15.07.2025].

⁵⁰ იქვე, მუხლი 6⁴.

⁵¹ განმარტებითი ბარათი იხილეთ ბმულზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/30563> [15.07.2025].

⁵² საქართველოს მთავრობის 2025 წლის 7 ივლისის N250 დადგენილება „უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 3, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6563350?publication=0> [15.07.2025].

⁵³ იხილეთ საელჩოს ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებული პოსტი, 11.06.2025, <https://www.facebook.com/ukingeorgia/posts/pfbid0U0nQEYWEZiHtaGRLFndfWZdYsvx73HKUMeoQwsEZm5vcpwNTZkDRJNFqFhqwHsv7I?r=did=Is3J51gpQx4mU1eS#> [15.07.2025].

სამწუხაროდ, ამ გაურკვევლობის გამო, გვიწევს, გავაუმოთ დაგეგმილი საგრანტო წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა დაგეგმილი მუნიციპალური არჩევნების გამჭვირვალობისა და კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერას“.

ამ ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვა „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირების მხრიდან დაუსაბუთებელი თავდასხმები დიდი ბრიტანეთის საელჩოზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მედიაზე. თავდასხმების სამიზნეები გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ცენტრი, საქართველოს მომავლის აკადემია და ონლაინმედია „ტაბულა“. „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირებმა, მათ შორის, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის ვიცეპრეზიმა ნინო წილოსანმა და „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ არაერთი განცხადება გააკეთეს ამ ორგანიზაციების დისკრედიტაციის მიზნით და მათი დაფინანსება ექსტრემიზმის დაფინანსებასთან გააიგივეს.⁵⁴

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული კოორდინირებული, მადისკრედიტირებული კამპანია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ ეს რეგულაცია, მათ შორის, „ქართული ოცნების“ მიმართ არალოიალური მედიასაშუალებების რესურსებზე წვდომის შესაზღუდად იქნება გამოყენებული.

3. მაუწყებლის „სამართლიანობის და მიუკერძოებლობის“ მომხმარებელი ნორმები

2025 წლის 1-ელ აპრილს მიღებული ცვლილებების შედეგად, მაუწყებლობის შესახებ კანონის 54-ე მუხლში, „სამართლიანობის და მიუკერძოებლობის“ ქვეშ, ახალი ბუნდოვანი, განუჭვრეტელი ნორმები გაჩნდა, რომლებიც თვითნებური განმარტების და მაუწყებლის შინაარსობრივი კონტროლის საშუალებას იძლევა.

⁵⁴ „ტაბულა“, „პაპუაშვილი ბრიტანეთის ელჩს ექსტრემიზმის დაფინანსებასა და არჩევნებში ჩარევამი ადანაშაულებს“, 11.06.2025, <https://tabula.ge/ge/news/736553-papuashvili-britanetis-elchs-ekstremizmis> [15.07.2025]; „ტვი იმედი“, „ნინო წილოსანი: ნამდვილად მიკვირს ბრიტანეთის საელჩოს ასეთი გაცხადებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყველასთვის ცნობილ დესტრუქციულ „ენჯელებს“ ვეღარ დააფინანსებენ“, 11.06.2025, <https://imedinews.ge/ge/politika/390016/nino-tsilosani-namdvilad-mikvirs-britanetis-saelchos-aseti-gatskhadebuli-pozitsia-imastan-dakavshirebit-rom-kvelastvis-tsnobil-destruqtsiul-enjeoebs-vegar-daapinanseben> [15.07.2025]; „ტვი იმედი“, „ნინო წილოსანი: თუ ბრიტანეთის საელჩო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, ჩერგოლეიშვილის „ტაბულას“ თუ ლონდა თოლორაიას ვერ დააფინანსებს, ეს ნამდვილად არ იქნება დანაკლისი თვითმმართველობის არჩევნების პროცესის სრულყოფილად ჩატარებაში“, 12.06.2025, <https://imedinews.ge/ge/politika/390121/nino-tsilosani-tu-britanetis-saelcho-akhalgazrda-iuristta-asotsiatsias-cherogleishvilis-tabulas-tu-londa-toloraias-ver-daapinansebs-es-namdvilad-ar-iqneba-danaklisi-tvimmartvelobis-archevnebis-protsis-srulkopilad-chatarebashi> [15.07.2025]; „ტაბულა“, „პაპუაშვილი ბრიტანეთის საელჩოს: გასაჯაროვეთ, ვის რა თანხით აფინანსებდით და აფინანსებთ“, 13.06.2025, <https://tabula.ge/en/news/736614-papuashvili-britanetis-saelchos-gaasajarovet-vis> [15.07.2025]. „რუსთავი 2“, „ირაკლი კობახიძე ბრიტანეთის საელჩოზე: სხვა დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც აკრძალულია პოლიტიკური პარტიების გარედან დაფინანსება, როცა პარტიულ დანამატებს აფინანსებ, ესეც ექსტრემიზმის წახალისებაა და ხელისუფლების მხრიდან ვერ ექნება მხარდაჭერა“, 12.06.2025, <https://rustavi2.ge/ka/news/316845> [15.07.2025]. „პირველი არხი“, „ირაკლი ზარქუა - ვინ ეკითხება ბრიტანეთის საელჩოს, ვის მოვიწვევთ და ვის არა? ეს ნონსენსია“, 18.06.2025, <https://1tv.ge/news/irakli-zarquav-vin-ekitkheba-britanetis-saelchos-vis-moviwvvt-da-vis-ara-es-nonsensia/> [15.07.2025]; „პირველი არხი“, „შალვა პაპუაშვილი - დიდი ბრიტანეთის საელჩო ქართული საზოგადოებისთვის არ ასაჯაროებს, ვის რა თანხით აფინანსებდა 2024 წლის არჩევნების წინ და რა თანხით აფინანსებს დღეს“, 19.06.2025, <https://1tv.ge/news/shalva-papuashvili-didi-britanetis-saelcho-qartuli-sazogadoebistvis-ar-asajaroebis-vis-raftankhit-afinansebd-2024-wlis-archevnebis-win-da-ra-tankhit-afinansebs-dghes/> [15.07.2025].

მაგალითად, ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ბალანსის დაცვა თითოეულ პროგრამაში ან პროგრამების ციკლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ, პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე, ბალანსის დაცვა დაგეგმილია პროგრამების ციკლის განმავლობაში, ამის შესახებ აუდიტორიას უნდა ეცნობოს პროგრამის დაწყების პირველსავე დღეს“. ვენეციის კომისიამ უნგრეთის მედიის კანონთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად უნდა იყოს „ბალანსი“ კანონით გათვალისწინებული ვალდებულება.⁵⁵ ამ მოთხოვნას აკლია სიცხადე და იგი ქმნის კომპლექსურ ვალდებულებას.⁵⁶

ასევე, ბუნდოვანია, როგორ უნდა განიმარტოს „განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება“⁵⁷ ან „ჯგუფებზე თავდასხმა, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში“.⁵⁸

ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ტელე და რადიო მაუწყებლებზე ვრცელდება. ეს საკითხები ადრე მედიის თვითრეგულირებას ექვემდებარებოდა, მაგრამ, ცვლილებების თანახმად, ახლა მათ სრულად კომუნიკაციების კომისია გააკონტროლებს. ამ ვალდებულებების დარღვევამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გაფრთხილება, ჯარიმა, ლიცენზიის/ავტორიზაციის შეჩერება (თუ უკვე გამოყენებულია გაფრთხილება და ჯარიმა) ან გაუქმება (თუ ლიცენზიის შეჩერების ვადა გავიდა, თუმცა დარღვევა არ აღმოფხვრილა).⁵⁹ აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისია არაერთხელ დაადანაშაულებს შერჩევითი აღსრულების გამოყენებაში, მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების საქმიანობაში ჩარევასა და მათთვის არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების დაკისრებაში.⁶⁰ ხსენებული რეგულაცია უკვე გამოიყენება კრიტიკული მედიის წინააღმდეგ.⁶¹

⁵⁵ Venice Commission, Opinion no. 798 / 2015, CDL-AD(2015)015, para. 50, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2015\)015-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)015-e) [15.07.2025].

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 54, პუნქტი 6: „საავტორო პროგრამის გადაცემისას უშუალოდ პროგრამის დაწყების წინ აუდიტორიას უნდა ეცნობოს, რომ პროგრამა საავტოროა. საავტორო პროგრამაში აუდიტორიას უნდა მიეწოდოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ფაქტების დამახინჯება და განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება. საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისთვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა“.

⁵⁸ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 54, პუნქტი 9: „პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში“.

⁵⁹ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლები 71-74, <https://matsne.gov.ge/document/view/32866?publication=82> [15.07.2025].

⁶⁰ იხილეთ ანგარიში: საია et al., „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 28 თებერვალი“, 2025.

⁶¹ საიას შეფასება „ფორუმლასა“ და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ კომუნიკაციების კომისიაში „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ საჩივრებზე, 05.06.2025, <https://gyla.ge/post/sachivrebi-telekompaniebiswinaag-mdeg-saias-shepaseba> [15.07.2025].

4. სასამართლოში მედიის საქმიანობის შეზღუდვა

2025 წლის 26 ივნისს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ცვლილებები ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“.

ახალი მოწესრიგებით, აიკრძალა სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზსა და ეზოში ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა. ამის უფლება მხოლოდ სასამართლოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ექნება.⁶²

აქამდე საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილი იყო, შეუზღუდავად განეხორციელებინა სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სასამართლოს განჩინებით, სხდომა ნაწილობრივ ან სრულად დახურული იყო. საზოგადოებრივ მაუწყებელს ასევე ჰქონდა ვალდებულება, ჩანაწერი სხვა მედიასაშუალებებისთვის მოთხოვნისთანავე გადაეცა.⁶³

აგრეთვე, აქამდე არსებული რეგულაციით, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი სხდომას არ იღებდა, ამ უფლებით შეეძლო ესარგებლა სხვა საერთო საეთერო მაუწყებელს, რისთვისაც სასამართლო სხდომის დაწყების წინ მას საქმის განმხილველი მოსამართლისთვის წერილობით უნდა მიემართა.⁶⁴

ახალი წესებით, სასამართლოში ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა ბლანკეტურად აიკრძალა. იმისთვის, რომ ჟურნალისტებმა ამ უფლებით ისარგებლონ, ყოველ კონკრეტულ სხდომასთან დაკავშირებით ნებართვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან უნდა მიიღონ.⁶⁵

საჯაროობა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს.⁶⁶ ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოში ფოტო, ვიდეო გადაღების ან აუდიოჩაწერის უფლება შეუზღუდავია, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს არა ბლანკეტურად, არამედ კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლით დაცული ინტერესების შეფასების და დაბალანსების საფუძველზე განხორციელდეს.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები არა სხვადასხვა უფლებით დაცული ინტერესების დაბალანსებას, არამედ მედიის საქმიანობის არაპროპორციულ შეზღუდვას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქების ხელშეშლას ისახავს მიზნად. ამაზე მიუთითებს შეზღუდვის ბლანკეტური ხასიათი და მისი შედეგები პრაქტიკაში:

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სასამართლო ეტაპის სხდომები - ე.წ. პირველი წარდგენის სხდომები - მცირე საპროცესო ვადების გამო, ხშირად მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე ინიშნება. ასეთ ვითარებაში, მედიებს თეორიულადაც კი არ დარჩებათ დრო, რომ ოპერატიულად მიიღონ პასუხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან.⁶⁷ კანონმდებლობას არც რაიმე ალტერნატიული მექანიზმი შემოუთა-

⁶² ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 13¹, <https://matsne.gov.ge/document/view/90676?publication=57> [15.05.2025].

⁶³ კანონის მე-13¹ მუხლის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=55> [15.05.2025].

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 13¹, <https://matsne.gov.ge/document/view/90676?publication=57> [15.05.2025].

⁶⁶ ECtHR, Krestovskiy v. Russia, 14040/03, 2010, para. 24-25.

⁶⁷ საია, „აქციების კონტექსტში დაკავებული პირების საქმეს სასამართლო დარბაზიდან მედია ვერ აშუქებს“, 30.06.2025, <https://gyula.ge/post/mediis-shezgudva-sxdomebze-saia> [15.05.2025].

ვაზებია, რომელიც, საბჭოსგან პასუხის მიუღებლობის ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უზრუნველყოფდა სხდომის ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისთვის. ეს ბიუროკრატიული მექანიზმი *de facto* სრულად კრძალავს პროცესებზე ფოტო-ვიდეო გადაღებას და აუდიოჩანაწერას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ, პრაქტიკაში, ჟურნალისტები ვერ ახერხებენ ამ უფლების მოპოვებას.

5. ცილისწამებასთან დაკავშირებული ცვლილებები

2025 წლის 26 ივნისს „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონში. ისინი შეეხო ცილისწამებისთვის სამოქალაქო დავის გადაწყვეტის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ცილისწამებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 2004 წელს გაუქმდა და ამჟამად ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ცილისწამებისთვის ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს.⁶⁸ შესაბამისად, ცილისწამებასთან დაკავშირებული დავები საქართველოში მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნებისაა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი შეიცავს გარკვეულ გარანტიებს, სამართლებრივ დამცავ მექანიზმებს, რომელთა მიზანია, რომ ცილისწამებისთვის სამოქალაქო დავები ინსტრუმენტალიზებული არ იყოს გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულად შესაზღუდად ან/და საჯარო პირების მიმართ ღია დისკუსიის ჩასახშობად. სწორედ ამ დამცავი მექანიზმების შესუსტებას ან/და მომლას ემსახურება ბოლოდროინდელი ცვლილებები ხსენებულ კანონში.

ცვლილებებით გაუქმდა კვალიფიციური პრივილეგია მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებისთვის.

კვალიფიციური პრივილეგია გულისხმობს, რომ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან პირი ნაწილობრივ ან პირობით თავისუფლდება. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, პირმა ბრალეული ქმედების ჩადენისთვის შეიძლება დაკარგოს პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.⁶⁹

ძველი მოწესრიგებით, პირს ენიჭებოდა კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისთვის, თუ:

- ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;
- ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაუთლი სიკეთე აღმატებოდა მიყენებულ ზიანს;
- გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით;
- დ) მისი განცხადება იყო მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადების თანაზომიერი პასუხი;

⁶⁸ მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 2011 წელს გამოცემული ზოგადი კომენტარი სახელმწიფოებს დეჰამაციის დერიმინალიზაციისკენ მოუწოდებს. იხ. General comment No.34 on Article 19: Freedoms of opinion and expression, CCPR/C/GC/34, para. 47.

⁶⁹ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ქ“, <https://www.matsne.gov.ge/document/view/33208?publication=9> [15.07.2025].

ე) მისი განცხადება იყო სამართლიანი და ზუსტი რეპორტაჟი იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებებით:

- ცილისწამების განმარტებიდან ამოიღეს ზიანის კომპონენტი - ადრე ცილისწამება განიმარტებოდა, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“. ახალი განმარტება აღარ შეიცავს სიტყვებს „პირისთვის ზიანის მიმყენებელი“ („სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ კანონი, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ე“).
- შეიცვალა მტკიცების ტვირთი ცილისწამების საქმეებზე და ის მოპასუხის მხარეს გადავიდა - ძველი რედაქციით, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავდა, რომ „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ“. ცვლილებების შედეგად, ეს ნორმა კანონში აღარ გვხვდება. ასევე, მე-13 და მე-14 მუხლებში განხორციელებული ცვლილებებით (როგორც კერძო, ისე საჯარო პირის მიმართ ცილისწამების შემთხვევაში), მოპასუხეს ეკისრება ტვირთი, დაამტკიცოს, რომ განცხადება არსებითად მცდარ ფაქტს არ შეიცავს. ძველი მოწესრიგებით მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა (როგორც კერძო, ისე საჯარო პირის მიმართ ცილისწამების შემთხვევაში).
- ჟურნალისტის წყაროს საიდუმლოების დაცვის გარანტიების გაუქმება - კანონიდან ამოღებულია მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავდა, რომ „დაუშვებელია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო – გახდეს მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი“.

ახალი მოწესრიგებით, ცილისწამების დავებზე დაფუძნდა ე.წ. „მცდარობის პრეზუმფიცია“. მართალია, დეფამაციის სამოქალაქო დავებზე მცდარობის პრეზუმფიცია, *a priori*, გამონათქვამის თავისუფლებასთან შეუსაბამო არ არის,⁷⁰ თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე **კასაბოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (KASABOVA v BULGARIA)** განმარტა, რომ მცდარობის პრეზუმფიცია, შესაძლებელია, იყოს გაუმართლებლად შემზღუდავი ისეთ საქმეებზე, როდესაც სიმართლის დამტკიცება სასამართლოში რთულია დასაშვები მტკიცებულებების ნაკლებობის ან მათ მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯების გამო.⁷¹

გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელება მედიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.⁷² პოლიტიკოსებთან⁷³ და საჯარო პირებთან⁷⁴ მიმართებით დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან დაკავშირებით. სწორედ საჯაროდ მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის დაცვას ემსახურება მცდარი ინფორმაციის გავრცელებისთვის კვალიფიციური პრივილეგია და ძველი მოწესრიგებით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთი.

⁷⁰ ECtHR, Kasabova v. Bulgaria, 22385/03, 2011, para. 59-62.

⁷¹ იქვე.

⁷² ECtHR, Observer and Guardian v. the United Kingdom, 13585/88, 1991, para. 59.

⁷³ ECtHR, Lopes Gomes da Silva v. Portugal, 37698/97, 2000, para. 30-31.

⁷⁴ ECtHR, Drousiotis v. Cyprus, 42315/15, 2022, para. 51, 61.

პუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები;

- **პოლიტიკური თანამდებობის პირი** - მასში მოიაზრებიან: სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე;
- **სახელმწიფო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი** - სახელმწიფო მოსამსახურის განმარტებაში მოიაზრებიან: სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე; ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მთავრობის ადმინისტრაციის, პარლამენტის აპარატის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მთავრობების აპარატების უფროსები და მათი მოადგილეები. სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირები არიან: საჯარო სამართლის იურიდიული პირის⁷⁹ ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელის მოადგილე;
- **საჯარო მოსამსახურე** - აღნიშნული მოიცავს როგორც პროფესიულ საჯარო მოხელეს, ისე საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირებს.

ამ მუხლით იკრძალება ჩამოთვლილი პირების მიმართ მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა ან საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ქმედებები:

- სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- ლანძღვა-გინება;
- შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და;
- სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედება.

მუხლი ითვალისწინებს მაღალ სანქციებს: ჯარიმას 1500-იდან 4000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 45 დღემდე ვადით, ხოლო ამ მუხლის დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში - დაჯარიმებას 2500-იდან 6000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5-იდან 60 დღემდე (ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა) ვადით. ამასთანავე, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულია ისეთი გამოხატვაც, რომელიც შოკისმომგვრელი, შეურაცხმყოფელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსა ან საზოგადოების ნებისმიერი

⁷⁹ გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა/სკოლისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა/კოლეჯისა ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, აგრეთვე სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო ან რელიგიური საქმიანობის განმახორციელებელი და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა. იხ. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ¹“, <https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=68> [15.07.2025].

სექტორისთვის.⁸⁰ ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური უფლებაა. ერთ-ერთი მიზანი, რომლის გამოც იგი შეიძლება შეიზღუდოს, არის სხვათა უფლებების, მათ შორის, სხვისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების (კონვენციის მე-8 მუხლი) დაცვა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, იმისთვის, რომ რელევანტური იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, პირის რეპუტაციაზე შეტევა უნდა აღწევდეს გარკვეულ მნიშვნელოვან დონეს.⁸¹

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს თანახმად, გაუმართლებელი დამცირების (*wanton denigration*) შემთხვევაში, როდესაც გამოხატვის ერთადერთი მიზანი შეურაცხყოფის მიყენებაა, პროპორციული სანქციის დაკისრება, შესაძლოა, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ იწვევდეს.⁸² მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, აღნიშნული გაიმიჯნოს ისეთი შეურაცხყოფელი და პროვოკაციული გამოვლინებისგან, რომელიც გამოხატვის თავისუფლების ქვეშ ექცევა. ამისთვის ყურადღებით უნდა შეფასდეს კონტექსტი, რომელშიც განცხადება გაკეთდა.⁸³

მაგალითად, საქმეში **გასპარი სომხეთის წინააღმდეგ (GASPARI v. ARMENIA) (No. 2)** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჯარო გამოსვლისას აქტივისტის მიერ პოლიციის უფროსის მიმართ გაკეთებული ისეთი განცხადებები, როგორიცაა „ხულიგანი, სულელი, მხეცი, ნაგავი“ (Hooligan, Fool, Brute, Scum), მიუხედავად იმისა, რომ იყო შეურაცხყოფელი, პროვოკაციული და მღელვარების გამომწვევი, არ მიიჩნია გაუმართლებელ დამცირებად, რადგან ეს იყო პირის ემოციური პასუხი პოლიციის უფროსის ძალადობრივ ქმედებებზე აქციის მონაწილეების მიმართ და მისი მწვავე კრიტიკა.⁸⁴

ასევე, საქმეზე **ბონი ხორვატიის წინააღმდეგ (BON v. CROATIA)** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ თანამდებობის პირისთვის „ნამდვილი ტარაკნის“ წოდება არ იყო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის საკმარისი საფუძველი. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა ის კონტექსტი, რომელშიც ეს ფრაზა გამოითქვა. კონკრეტულად, სადავო განცხადება გაკეთდა საჯარო პირის მიმართ საჯარო მნიშვნელობის მქონე საკითხზე დისკუსიის კონტექსტში და იყო განმცხადებლის მიერ მწვავე კრიტიკისა და პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა.⁸⁵

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს პოლიტიკოსებს, პოლიციას და საჯარო ინსტიტუციებს ისეთ ჯგუფებად, რომელიც მოითხოვს გაძლიერებულ დაცვას შეურაცხყოფის, დაცინვის ან ცილისწამებისგან.⁸⁶ პირიქით, პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის მიმართ თმენის გაცილებით მაღალი ვალდებულება აქვთ, ვიდრე სხვა ნებისმიერ მოქალაქეს.⁸⁷ ეს მსჯელობა პოლიტიკური ფიგურების მიღმა ვრცელდება საჯარო პირებზეც, რომლებიც თავიანთი ქმედებებით ან თუნდაც თანამდებობით არიან საზოგადოებრივ ასპარეზზე.⁸⁸ ზემოთ ხსენებული პრინციპები ასევე ვრცელდება სოციალურ ქსელში გამოთქმულ მოსაზრებებზე.⁸⁹

⁸⁰ ECtHR, *Handyside v. The United Kingdom*, 5493/72, 1976, para. 49.

⁸¹ ECtHR, *Axel Springer AG v. Germany*, 39954/08, 2012, para. 83.

⁸² ECtHR, *Gaspari v. Armenia* (No. 2), 67783/13, 2023, para. 27.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე, 29.

⁸⁵ ECtHR, *Bon v. Croatia*, 26933/15, 2021, para. 37.

⁸⁶ ECtHR, *Savva Terentyev v. Russia*, 10692/09, 2018 para. 76.

⁸⁷ ECtHR, *Lacroix v. France*, 41519/12, 2017. para. 44-4.9.

⁸⁸ ECtHR, *Drousiotis v. Cyprus*, 42315/15, 2022 para. 51, 61.

⁸⁹ ECtHR, *Savva Terentyev v. Russia*, 10692/09, 2018 para 79.

საქმეზე *კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (KAKABADZE AND OTHERS v. GEORGIA)* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს მიმღებლობა ისეთი შეხედულებების გამოხატვისადმი, რომლებიც კრიტიკულია საჯარო პირების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც მსგავსი აზრების გამოხატვა ხდება უხეშად ან პროვოკაციულად, როგორც ეს ამ საქმეში მოხდა.⁹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს მსჯელობა შეეხება ირაკლი კაკაბაძის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის ეზოში, დემონსტრაციაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ ნათქვამ ფრაზას - „*ლაერენტი ბერიას ნაბიჭვარი*“.⁹¹

ODIHR-მა გააყრიტია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173¹⁶-ე მუხლი ზედმეტად ფართო და განუსაზღვრელი შინაარსის გამო. ODIHR-ის თანახმად, მეტისმეტად ფართო და სუბიექტურია „სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, ლანძღვა-გინებაზე, შეურაცხმყოფელ გადაკიდებასა ან/და სხვაგვარ შეურაცხმყოფელ ქმედებაზე“ მითითება რაიმე სახის შინაარსის აღწერის, განმარტების ან დარღვევის დამაფუძნებელი სხვა ელემენტების მოხმობის გარეშე.⁹² ეს იძლევა თვითნებური განმარტების შესაძლებლობას.⁹³ ODIHR-ის რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა გადახედოს ამ მუხლს მისი პოტენციური მსუსხავი ეფექტის გამო და შეცვალოს ის, მინიმუმ, იმგვარად, რომ შეიცავდეს დარღვევის დამდგენი ელემენტების უფრო ზუსტ განმარტებას. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შეურაცხყოფა სიმწვავის გარკვეულ ზღვარს აღწევს.⁹⁴

აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა პრაქტიკაში უკვე გამოიყენება პოლიტიკური გამოხატვის წინააღმდეგ. მაგალითად, მასზე დაყრდნობით, 4000-ლარიანი ჯარიმები დაეკისრათ პირებს იმის გამო, რომ მათ „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატებს სოციალურ ქსელებში „მონა“ უწოდეს.⁹⁵

ამასთანავე, სასამართლომ აქტივისტს 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა იმის გამო, რომ მან ზუგდიდის მერიის თანამშრომელს ფეისბუქ კომენტარებში „ფოჩო“ (მეგრულად „ბრიყვი“, „შტერი“)⁹⁶ და „ტვინგე“ (მეგრულად „უჭკუო“, „ჩერჩეტი“)⁹⁷ უწოდა.⁹⁸

შედარებისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (CHKHARTISHVILI v. GEORGIA)* არაპროპორციულად მიიჩნია საპატიმრო სასჯელის გამოყენება (განმცხადებელს შეუფარდა 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა) განმცხადებლის მიმართ, რომელმაც

⁹⁰ ECtHR, Kakabadze and Others v. Georgia, 1484/07, 2012, para. 89.

⁹¹ იქვე.

⁹² ODIHR, Opinion-Nr.: FOPA-GEO/536/2025 [TN], para. 101, <https://www.osce.org/odihr/587466> [15.07.2025].

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე, 104.

⁹⁵ „რადიო თავისუფლება“, „4000 ლარით დააჯარიმეს ვაზო სანაია Facebook-პოსტის გამო“, 20.06.2025, <https://www.radiotavisupleba.ge/a/33449993.html> [15.07.2025]; „რადიო თავისუფლება“, „4000 ლარით დააჯარიმეს ჟურნალისტი ვიკა ბუკია მარიამ ლაშხის შესახებ სტატუსის გამო“, 18.06.2025, <https://www.radiotavisupleba.ge/a/33448168.html> [15.07.2025].

⁹⁶ მეგრულ-ქართული ლექსიკონი [3 ტომად] / ოთარ ქაჯაია; [სარედ. საბჭო: თ. გამყრელიძე (მთ. რედ.) და სხვ.]. თბილისი, ნეკერი, 2001. 29 სმ, იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=33&t=65354> [15.07.2025].

⁹⁷ მეგრულ-ქართული ლექსიკონი [3 ტომად] / ოთარ ქაჯაია; [სარედ. საბჭო: თ. გამყრელიძე (მთ. რედ.) და სხვ.]. თბილისი, ნეკერი, 2001. 29 სმ, იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=33&t=60925> [15.07.2025].

⁹⁸ „პუბლიკა“, „ზუგდიდელი აქტივისტი FB კომენტარში მერიის თანამშრომლისთვის „ფოჩოს“ წოდების გამო 5 დღით დააპატიმრეს, 09.07.2025, <https://publika.ge/aqtivisti-fb-komentarshi-meriis-tanamshromlistvis-fochos-wodebis-gamo-5-dghit-daapatimes/> [15.07.2025].

საპროტესტო აქციაზე პოლიციელებს ლობიოს მარცვლები ესროლა შეძახილით „სალაფავი ღორებისთვის“.⁹⁹ სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ განმცხადებელი მშვიდობიანი აქციის ფარგლებში გამოხატავდა პოზიციას მნიშვნელოვანი საჯარო საკითხის - განუხორციელებელი საარჩევნო რეფორმის თაობაზე.¹⁰⁰ სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მისი ქმედება, ლობიოს მარცვლების სროლა, ვერ გამოიწვევდა რაიმე ზიანს ან მისი მიზანი ვერ იქნებოდა ასეთი ზიანის გამოწვევა.¹⁰¹ ამის ფონზე, სასამართლოს შეფასებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებლის ქმედების საპასუხოდ უფლებაში ჩარევა გამართლებული იყო, სახელმწიფოს უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული სიფრთხილე საპატიმრო სასჯელის გამოყენებისას. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაძალადობრივი, თუნდაც წესრიგის დამრღვევი ქცევისთვის, რომელიც ფუნდამენტური უფლებით სარგებლობას უკავშირდებოდა, საპატიმრო სასჯელის გამოყენება, როგორი ხანმოკლეც არ უნდა ყოფილიყო ის, იყო არაპროპორციული და არღვევდა კონვენციის მე-11 მუხლს (შეკრების თავისუფლებას) მე-10 მუხლის შუქზე (გამოხატვის თავისუფლება).¹⁰²

ამ გადაწყვეტილების ფონზე, 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება სოციალურ ქსელში გაკეთებული ისეთი კომენტარის გამო, რომელიც დასაშვები კრიტიკის ფარგლებში ექცევა - მიემართება საჯარო მოხელეს, მიზნად ისახავს პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებას, არ შეიცავს უხამს შინაარსს ან რაიმე სახის მოწოდებას ძალადობისკენ - თუნდაც ეს კრიტიკა მწვავე ფორმებით იყოს გამოხატული, კიდევ ერთხელ ახდენს იმის ილუსტრირებას, როგორ არის უგულებელყოფილი კანონის განმარტებისა და შეფარდების პროცესში ადამიანის უფლებების პერსპექტივა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები.

ზემოთ განვითარებული მსჯელობის და ODIHR-ის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ასეთი გამოხატვის დასჯადობა და განსაკუთრებით მკაცრი სანქციების გამოყენება, იმ პირობებში, როდესაც სადავო გამოხატვა არის პოლიტიკური დისკურსის ნაწილი, მიემართება საჯარო პირებს და, გარკვეულ შემთხვევებში, არც კი შეიცავს რაიმე უხამს ან განსაკუთრებით მწვავე გამოხატვის ფორმებს, მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების დარღვევაზე, პოლიტიკური დისკურსის ჩახშობასა და დასაშვები კრიტიკის წინააღმდეგ კანონის ინსტრუმენტალიზებაზე.

აღსანიშნავია, რომ მსს და სასამართლო ამ მუხლს და შესაბამის მაღალ სანქციებს აქტიურად იყენებდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების წინააღმდეგ, რაც, შესაძლოა, მიანიშნებდეს მცდელობაზე, რომ გახმაურებული საქმეებით საზოგადოებაში შეიქმნას თვითცენზურა მწვავე პოლიტიკურ გამოხატვასთან დაკავშირებით.¹⁰³

⁹⁹ ECtHR, Chkhartishvili v. Georgia, 31349/20, 2023.

¹⁰⁰ იქვე, 59.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² იქვე, 60-62.

¹⁰³ საია, „პოლიტიკოსების მიმართ გამოხატული შეფასებითი მსჯელობის გამო საქმეთა წარმოება მასობრივი ცენზურის პრეცედენტს ქმნის“, 12.07.2025, <https://www.gyla.ge/post/cenzuris-precendentebi-gyla> [15.07.2025].

დასკვნა

„ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვნად და დაუსაბუთებლად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და აფერხებს მედიის საქმიანობას.

- ე.წ. FARA-ს ფართო და ბუნდოვანი დებულებები ახალისებს თვითცენზურას და შესაძლებლობას იძლევა, ამ კანონით გათვალისწინებული მასტიგმატიზებული სტატუსი, ექსტენსიური ანგარიშგების სისტემა და სხვა ვალდებულებები, ასევე, სისხლისსამართლებრივი სანქციები თვითნებურად იყოს გამოყენებული, მათ შორის, გამოხატვის და მედიის საქმიანობის წინააღმდეგ.
- სამოქალაქო საზოგადოების და მედიის უცხოური დაფინანსება საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი სამიზნეა. დაფინანსების შეზღუდვა რამდენიმე საკანონმდებლო აქტითაა გამოწვეული, მათ შორის, მაუწყებლობის შესახებ კანონით, რომელიც პირდაპირ კრძალავს მაუწყებლების მიერ უცხოური დაფინანსების მიღებას. სხვა ფორმის მედიასაშუალებებისთვის, ამ მხრივ, რელევანტურია ე.წ. FARA-ს საფუძველზე და გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით დადგენილი რეგულაციები, რომლის შედეგად, დაფინანსების მიღება მთავრობის ნებაზე დამოკიდებული ხდება. ეს კი საფრთხეს უქმნის მთავრობის მიმართ კრიტიკულ მედიებს. ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ რეგულაციები მედიასაშუალებებს უბიძგებს, თავად თქვან უარი უცხოურ დაფინანსებაზე „აგენტის“ იარლიყის თავიდან ასაცილებლად.
- მაუწყებლობის შესახებ კანონში „სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის“ ახლებური განუქრეტელი რეგულირება ქმნის კრიტიკული მაუწყებლების თვითნებური დასჯისა და გაუმართლებელი შინაარსობრივი კონტროლის საფრთხეს.
- სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზსა და ეზოში ფოტო, კინო, ვიდეო გადაღების, ტრანსლაციის და აუდიოჩანერის მომწესრიგებელი ახალი ნორმები პრაქტიკაში სრულად კრძალავს ამ საქმიანობას, უგულებელყოფს სამართლიანი სასამართლოს, პირადი ცხოვრების პატივისცემასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვის ვალდებულებას, იმავდროულად, მიზნად ისახავს მიმდინარე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეების გაშუქების ხელშეშლას.
- ცილისწამებასთან დაკავშირებული ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონში“ ასუსტებს იმ სამართლებრივ გარანტიებს, რომელთა მიზანია საჯარო დისკურსის დაცვა იყო და მედიას (ასევე, სხვა აქტორებს) უფრო მოწყვლადს ხდის SLAPP-ების მიმართ.
- თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა შეურაცხყოფის დასჯადობა არღვევს გამოხატვის თავისუფლებას და შეუთავსებელია ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173¹⁶-ე მუხლის აქტიური გამოყენების პრაქტიკა და დასაშვები გამოხატვისთვის მაღალი ადმინისტრაციული სანქციების დაწესება ცხადყოფს, რომ მისი მიზანი მსუსხავი ეფექტისა და თვითცენზურის გამოწვევაა.

გამოხატვის წინააღმდეგ საკანონმდებლო ცვლილებები არის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმდინარე, მზარდი და მწვავე კრიზისის შემადგენელი ნაწილი, ასევე, განსხვავებული აზრისა და სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ინსტრუმენტი პარტია „ქართული ოცნების“ ხელში.